სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 25 იანვარი, 2022
სხდომის დაწყების დრო: 18:30 საათი
ადგილმდებარეობა: დისტანციურად (Zoom პლატფორმა)

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), როინ მიგრიაული, რაისა ლიპარტელიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, თორნიკე ბაქრაძე, ტარიელ კაკაბაძე, ია გაბედავა, მარიამ კუბლაშვილი, ციცინო ცხვედიანი, ინგა სეხნიაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

წევრები გაეცნენ:

(ა) ირაკლი ლიპარტიას, ანა დევსურაშვილის, თეონა კვირიკაშვილის, მარიამ კუსიანის, ნელი ბაინდუროვის და მაია სუხიტაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ირაკლი ლიპარტიას, ანა დევსურაშვილის, თეონა კვირიკაშვილის, მარიამ კუსიანის, ნელი ბაინდუროვის და მაია სუხიტაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ზვიად შალამბერიძის და დავით ნაღებაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3 - თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ზვიად შალამბერიძის და დავით ნაღებაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ ნელი ნადირაშვილის, გოჩა თედიაშვილის, სიმონ კვირკელიას და ქეთევან კანდელაკის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნელი ნადირაშვილის, გოჩა თედიაშვილის, სიმონ კვირკელიას და ქეთევან კანდელაკის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების თაობაზე განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად ხატია გოგსაძის, ნინო ქაშაკაშვილის, ნათია აღოშაშვილის, ლევან არძენაძის, მარიამ მაყიშვილის, ნინო კოპაძის, ცისმარი სვინტრაძის, ქეთევან ხატიაშვილის, თამარ მათიაშვილის, ხათუნა თედორაძის, მარიამ ქაშაკაშვილის, თინა საბაძის, ეკატერინე კაპანაძის, დარიკო თურმანაულის, თამარ ქურთაულის, გვანცა თაბუკაშვილის, ლაშა ზიბზიბაძის, ნიკა ჯაშიაშვილის, მარიამ ტყაბლაძის, გრიგოლ კეზევაძის, ირაკლი შვანგირაძის, მარიამ სესიაშვილის, მარიამ ელიზბარაშვილის, ნინო სალუქვაძის, ქეთევან თურაზაშვილის, საბა იმნაძის, თამარ კაბოსნიძის, თეონა ქარელის, ვახტანგ კაპანაძის (9414), მარიამ აფხაზავას, მარიამ ქველაძის, სალომე კახნიაშვილის, ცისია ოქროპირიძის, თამარ ტყეშელაშვილის და <u>2022 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების</u> - აკაკი მარტოლეკის, ირაკლი ხობელიას, სოფიკო წიკლაურის, სალომე მესხის, ხათუნა შალიკაძის, ინგა გუნიას, სალომე მაისურაძის (8532), დავით ხარატიშვილის, თეონა კოჭლამაზაშვილის, თამარ გოგიძის და მარიამ გაფრინდაშვილის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, გადასახდელი აქვთ 2022 წლის საწევრო ეცნობოთ, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის, "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: "საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა" ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება

ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21[3] მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ" ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა".

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21[2] მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს განმცხადებელთა მოთხოვნები წევრობის შეჩერების თაობაზე. ამასთან, 2022 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - აკაკი მარტოლეკს, ირაკლი ხობელიას, სოფიკო წიკლაურს, სალომე მესხს, ხათუნა შალიკაძეს, ინგა გუნიას, სალომე მაისურაძეს (8532), დავით ხარატიშვილს, თეონა კოჭლამაზაშვილს, თამარ გოგიძეს და მარიამ გაფრინდაშვილს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. ადვოკატ ცისანა ქადაგიშვილის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ცისანა ქადაგიშვილის 2021 წლის 27 დეკემბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი მუშაობდა არასამთავრობო სექტორში პროექტის ასისტენტის პოზიციაზე და ითხოვდა იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონულ ოფისებში დასაქმებული ადვოკატების მსგავსად, საწევრო გადასახადზე 50%-იანი შეღავათის გავრცელებას. ასევე, განცხადებაში მითითებული იყო, რომ მას არ ჰქონდა შემოსავალი საადვოკატო საქმიანობიდან.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი ვრცელი საშეღავათო კრიტერიუმებიდან, 50%-იანი საშეღავათო საწევრო ვრცელდება წევრებზე, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებენ როგორც სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული ბიუროების საზოგადოებრივი ადვოკატები, შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. წევრებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე კონკრეტული მოთხოვნის განხილვა შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით არ რეგულირდება, აღმასრულებელი საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა

ინდივიდუალურ განცხადებას განიხილავს ერთიანი სტანდარტით და მაქსიმალურად ითვალისწინებს განცხადებაში მითითებულ გარემოებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა განმცხადებლის მიმართ თანაბრად სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების სტანდარტი.

შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ცისანა ქადაგიშვილის განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნა, მისთვის, როგორც არასამთავრობო სექტორში დასაქმებული პირისთვის 50%-იანი საწევრო შეღავათის გავრცელების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ცისანა ქადაგიშვილის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

საკითხი 5. ადვოკატ ნინო გიორგიძის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ ნინო გიორგიძის 2021 წლის 29 დეკემბრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი წლიურ საწევროს იხდიდა 200 ლარის ოდენობით. როგორც მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე წევრი, იგი ითხოვდა საწევრო შეღავათის გავრცელებას და გადახდილი საწევროების გადანაწილებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტები და იგი აკმაყოფილებდა მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე წევრისთვის 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ საშეღავათო კრიტერიუმებს. შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა საწევრო შეღავათის გათვალისწინებით, მის მის მიერ უკვე გადახდილი საწევროების გადანაწილების თაობაზე ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო გიორგიძის განცხადება და მის მიერ გადახდილი საწევრო გადასახადი მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე წევრისთვის დადგენილი 50%-იანი შეღავათის გათვალისწინებით გადანაწილებულ იქნას 2019 წლიდან შემდგომ წლებზე შესაბამისი ოდენობით. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ასოციაციის ფინანსურ მენეჯერს.

საკითხი 6. 2022 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადის გადავადების თაობაზე განცხადებების განხილვა.

წევერებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ გიგა კოღუამ, სალომე კალაიჯიშვილმა, დავით ჩალაძემ, მანანა გელაშვილმა და მაია დემეტრაძემ მომართეს ასოციაციას 2022 წლის საწევრო გადასახადის გადავადების მოთხოვნით.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული განცხადებები განიხილება ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, მოსაზრებების წარმოდგენის ვადის დასრულების შემდგომ.

შესაბამისად, აღნიშნული საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან და მისი განხილვა გადაიდო შესაბამისი სხდომისთვის.

საკითხი 7. 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე საკითხის განხილვა

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2022 წლის 25 იანვრის მდგომარეობით, ასოციაციის 378 წევრს უფიქსირდება 2021 წლის საწევრო დავალიანება, ხოლო 3141 წევრს 2022 წლის საწევრო დავალიანება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასოციაციის შემოსავლების ძირითად წყაროს საწევრო შენატანები წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისა და ასოციაციის ყველა მიმართულების შეუფერხებელი საქმიანობისთვის. ამდენად, მიზანშეწონილია 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საკითხზე მსჯელობა.

მსჯელობის შედეგად, აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. **ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:**

(ა) 2022 წლის 07 თებერვლიდან დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით;
(ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განისაზღვროს ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11;

(გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 07 თებერვალი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღე;

(დ) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნტის თანახმად, 2021 -2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა გამოვლენა და წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

(ე) ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც აქვთ საწევრო დავალიანება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების თანახმად გამოცხადდეს საჯაროდ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე, საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრთა სია, ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე, განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.gba.ge და ამასთან, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, "დ" ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 21 თებერვალი.

(ზ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 28 თებერვალი.

(ი) 2022 წლის 07 თებერვლის 12 საათამდე, დაზუსტდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია.

საკითხი 8. იურიდიული დახმარების საბჭოში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ 1 წევრი კანდიდატის წარდგინების თაობაზე საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2022 წლის 12 იანვარს გამოცხადებული ღია კონკურსის შესახებ, რომელიც შეეხებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26[1] მუხლისა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის და 23[2] მუხლების შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციიდან წარსადგენი 1 წევრის შერჩევას.

ასოციაციის მიერ, ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით (www.gba.ge), იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში წარსადგენი 1 (ერთი) წევრის შესარჩევად გამოცხადდა ღია კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის მიზნით, განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2021 წლის 20 იანვრის 17:00 საათამდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ორმა პირმა - ადვოკატმა მამუკა ნინუამ და ადვოკატმა თეა ჭეიშვილმა, რომლებმაც კონკურსით გათვალისწინებულ ვადაში წარმოადგინეს საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 21 პუნქტის შესაბამისად, იურიდიული დახმარების საბჭოს წევრად ადვოკატთა ასოციაციის მიერ უნდა შეირჩეს მაღალი რეპუტაციის მქონე ადვოკატი, რომელსაც აქვს საადვოკატო საქმიანობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ადვოკატი მამუკა ნინუა და ადვოკატი თეა ჭეიშვილი აკმაყოფილებენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს და საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში წარსადგენი 1 (ერთი) წევრის არჩევის საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრები გაეცნენ კანდიდატების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. აღნიშნულ საკითხზე, თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე ცალ-ცაკე დააყენა წარმოდგენილი კანდიდატურების განხილვის საკითხი. კენჭისყრის შედეგად: ადვოკატმა მამუკა ნინუამ მიიღო - 2 ხმა, ხოლო ადვოკატმა თეა ჭეიშვილმა - 9 ხმა.

შედეგად, **მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: კანონმდებლობით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ იურიდიული დახმარების საბჭოს წევრად, 3 წლის ვადით, არჩეულ იქნეს ადვოკატთა ასოციაციის წევრი თეა ჭეიშვილი (სიითი N0842).**

საკითხი 9. ასოციაციის კომიტეტების სტრუქტურის, ფორმირებისა და საქმიანობის წესის (დებულებების) დამტკიცება

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციით შემუშავებული და ოპტიმიზაციის შედეგად საბოლოო სახით ჩამოყალიბებული და განახლებული კომიტეტების სტრუქტურა, რომელიც შედგება შემდეგი კომიტეტებისგან:

1. ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტი;

2. სამოქალაქო სამართლის კომიტეტი;

3. ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი;

4. სისხლის სამართლის კომიტეტი;

5. მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტი;

6. ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტი;

7. შრომის სამართლის კომიტეტი;

8. ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტი;

9. ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტი.;

10. პროფესიის სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტი;

11. კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტი;

12. საიმიგრაციო სამართლის კომიტეტი;

13. საჯარო უწყებებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კომუნიკაციის კომიტეტი.

ამასთან, თავმჯდომარემ წევრებს გააცნო ზემოხსენებული კომიტეტების საქმიანობის წესი და დებულებები.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- **დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტები სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).**

- **დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტების დებულებები სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).**

საკითხი 10. ასოციაციის კომიტეტების თავმჯდომარეობის კანდიდატურების დამტკიცება

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ასოციაციის კომიტეტების თავმჯდომარეობის და რიგი თანათავმჯდომარეობის კანდიდატები: 1. ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი - ონისე მარგიანი; 2. სამოქალაქო სამართლის კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი - ქეთევან უტიაშვილი; 3. ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი - გიორგი გვენეტაძე; 4. სისხლის სამართლის კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი - დათუნა მოდებაძე; 5. მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი - ლოლა კურკუმული; თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატი - სოფიო სოხაძე; 6. ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი - ელენე სიჭინავა; 7. შრომის სამართლის კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი - თამარ გაბისონია; თანათავმჯდომარეობის კანდიდატი - თამარ სურმავა; 8. ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი თაქთაქიშვილი; თანა-თავმჯდომარეობის კანდიდატი - ნიკოლოზ გოგილიძე; 9. ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი - ირაკლი ყანდაშვილი; 10. პროფესიის სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი - გიორგი თევზაძე; თანათავმჯდომარეობის კანდიდატი - ელგუჯა ჩხაიძე; 11. კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი - სალომე ბეჟაშვილი; 12. საიმიგრაციო სამართლის კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი - გიორგი კვაშილავა; 13. საჯარო უწყებებთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კომუნიკაციის კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი - გოჩა გარუჩავა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტების თავმდჯომარეობის და რიგი თანათავმჯდომარეობის კანდიდატურები სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 3).

საკითხი 11. ასოციაციის საპარლამენტო მდივნის კანდიდატურის დამტკიცება

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2015 წელს აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტში ასოციაციის საპარლამენტო მდივნად ადვოკატ თამარ სადრაძის დანიშვნის შესახებ. ამასთან, ბოლო წლების განმავლობაში პარლამენტთან კომუნიკაციას ძირითადად თავმჯდომარე და აღმასრულებელი საბჭოს წევრები ახორციელებდნენ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ასოციაციის წესდების შესაბამისად, ასოციაციის თავმჯდომარე, აღმასრულებელი საბჭოსთან ერთად, კვლავ რჩება ასოციაციის წარმომადგენლად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მაგრამ ამავდროულად, აუცილებელია ასოციაციას, როგორც საჯარო სამართლის კორპორაციას ჰყავდეს საპარლამენტო მდივანი, რომელიც იქნება მუდმივ კომუნიკაციაში საქართველოს პარლამენტთან და აქტიურად ითანამშრომლებს შესაბამისი პროფილის კომიტეტებთან. ამ მიზნით, მან წევრებს წარუდგინა ადვოკატ ამირან გიგუაშვილის კანდიდატურა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათ განაცხადეს, რომ წარმოდგენილი კანდიდატურა საპარლამენტო მდივნის პოზიციაზე სრულად მისაღებია.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2015 წელს დანიშნულ საპარლამენტო მდივანს შეუწყდეს უფლებამოსილება და საქართველოს პარლამენტში ასოციაციის საპარლამენტო მდივნად დანიშნულ იქნას ადვოკატი ამირან გიგუაშვილი. საქართველოს პარლამენტის აპარატს და პარლამენტის კომიტეტებს წერილობით ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

საკითხი 12. 2022 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების პრიორიტეტული თემების დამტკიცება

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2022 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, პრიორიტეტული თემების განსაზღვრის მიზნით, ასოციაციის წევრებს შორის ადვოკატის პორტალის საშუალებით, ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 400-მდე ასოციაციის წევრმა ადვოკატმა. წევრები გაეცნენ სხდომაზე წარმოდგენილ გამოკითხვის შედეგებს. მათ განაცხადეს, რომ უფრო სრულყოფილი, ობიექტური და მეტად ინფორმატიული სურათის მისაღებად, მიზანშეწონილად მიაჩნიათ გამოკითხვის გაგრძელება გარკვეული პერიოდით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2022 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, პრიორიტეტული თემების გამოვლენის მიზნით, გაგრძელდეს ასოციაციის წევრთა გამოკითხვა.

საკითხი 13. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება

წევრები გაეცნენ ამირან მეშველიშვილის, სოფიკო ზარანდიას, ნათია გოგაძის, ვარლამ მაჭარაშვილის, ეკა ბესელიას, ხატია ოდიშარიას განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ამირან მეშველიშვილის, სოფიკო ზარანდიას, ნათია გოგაძის, ვარლამ მაჭარაშვილის, ეკა ბესელიას, ხატია ოდიშარიას კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 14. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 25 იანვრის მიმართვის გაცნობა

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 25 იანვრის მიმართვას, რომლის თანახმად, ეთიკის კომისიამ 2020 წლის 14 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გურამ საათაშვილის (სიითი N1135) მიმართ ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ადვოკატმა გაასაჩივრა. 2021 წლის 24 დეკემბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებით გაუქმდა ეთიკის კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება გურამ საათაშვილისთვის საადვოკატო საქმიანობის 6 (ექვსი) თვის ვადით ჩამორთმევის თაობაზე.

სადისციპლინო პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ეთიკის კომისიას ჩაბარდა 2022 წლის 25 იანვარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-7 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ,,აღასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებებს”.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2021 წლის 24 დეკემბერს (საქმე Nსსდმ-07-21) მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ადვოკატ გურამ საათაშვილის (სიითი N 1135) მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების 6 (ექვსი) თვის ვადით ჩამორთმევის **საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: აღსრულდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2021 წლის 24 დეკემბრის საქმეზე (N სსდმ-07-21) მიღებული გადაწყვეტილება და გურამ საათაშვილს (სიითი #1135) შეუჩერდეს საადვოკატო საქმიანობის უფლება 6 (ექვსი) თვის ვადით. ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.**

საკითხი 15. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) ადვოკატ მაკა სალხინაშვილის განცხადებას, რომელშიც ითხოვდა აკადემიური საქმიანობის განხორციელების საფუძველზე 2022 წლის სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებისგან გათავისუფლებას (გარდა ეთიკის მოდულისა). განმცხადებელს წარმოდგენილი ჰქონდა აკადემიური საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წევრებმა განაცხადეს, რომ განგრძობადი იურიდიული განათლების შეღავათების სისტემა ითვალისწინებს შეღავათს წევრებზე, რომლებიც ეწევიან საგანმანათლებლო /აკადემიურ საქმიანობას. განცხადებით მომართვის შემთხვევაში, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ისინი გათავისუფლდნენ აღნიშნული ვალდებულებისგან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მაკა სალხინაშვილის განცხადება და გათავისუფლდეს 2022 წლის სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვების

ვალდებულებისგან. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(ბ) ხატია ხუბაშვილის, მარიამ ფირცხალავას და ირაკლი ბუთურიშვილის განცხადებებს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ხატია ხუბაშვილის, მარიამ ფირცხალავას და ირაკლი ბუთურიშვილის განცხადებები. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე